ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1, შერეული ფუნქციის ობიექტი, სავაჭრო ცენტრის დასრულებული შენობასთან, მიმდებარედ არსებული ლითონის კონსტრუქციების ,, ჩილერების“

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1, შერეული ფუნქციის ობიექტი, სავაჭრო ცენტრის დასრულებული შენობასთან, მიმდებარედ არსებული ლითონის კონსტრუქციების ,, ჩილერების“ პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, საძირკვლის ფუძედ მიღებულია თიხნარი, საანგარიშო წინაღობით R_0=2,4კგძ/სმ^2. გრუნტის სხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები იხილეთ პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა-60კგძ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგძ/მ^2.

თქვენი ლითონის კონსტრუქციები წარმოადგენს მზიდ კონსტრუქციებს, დგარები ეყრდნობა კონსოლებს. თვითონ აგრეგატები მუშაობის პერიოდში იწვევენ ვიბრაციას, ლითონის კონსტრუქციების გაანგარიშების წარმოდგენის შემდეგ, მზიდი კონსტრუქციები აკმაყოფილებენ საქართველოში არსებულ სამშენებლო ნორმებსა და წესებს.

კონსტრუქცია ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1, შერეული ფუნქციის ობიექტი, სავაჭრო ცენტრის დასრულებული შენობასთან, მიმდებარედ არსებული

ლითონის კონსტრუქციების ,, ჩილერების“ პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. გაანგარიშებულია სტატიკურ, დინამიკურ და სეისმურ (8 ბალ) დატვირთვებზე.

ფუძე-საძირკვლებისა და შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემის გაანგარიშება შესრულებულია კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის ,,ლირა“-9.4 გამოყენებით. რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს გადაადგილებებში და მათში გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები СНиП 2,01,07-85*(СП 20.13330.2011) - დატვირთვები და ზემოქმედებები, СНиП 2,03,01-84*- ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები, СНиП II-7-81* - მშენებლობა სეისმურ რაიონებში,

СНиП II-23-81* - ლითონის კონსტრუქციები.

გაანგარიშებების შედეგად მიღებული მონაცემები შესაბამისობაშია პროექტით მიღებულ მონაცემებთან.

პროექტში ვრცლად არის დაცული საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები. (ყოფილი მშენებლობის სამინისტროს ბრძანება № 3/26, 05. 2002 წ. და 2006 წ. 24. 02 დადგენილება №45). კერძოდ; 1). სნ - წ - 2.02.01. – 83* ,,შენობებისა და ნაგებობების საძირკვლები“. 2). სნ - წ - 2.01.07. – 85 ,,დატვირთვები და ზემოქმედებანი“. 3). სნ - წ - II – 7 – 81 ,,მშენებლობა სეისმურ რაიონებში“. 4). სნ. - წ - 2.03.01. – 84 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“. 5). სნ. - წ - II – 28 – 73* და სნ. - წ - 2.03.11.85 ,,სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან.“ 6). სნ. - წ - II – 2 – 80 ,,შენობებისა და ნაგებობოს პროექტირებისას ხანძარ საწინააღმდეგო ნორმები.

დასკვნა: ამრიგად ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1, შერეული ფუნქციის ობიექტი, სავაჭრო ცენტრის დასრულებული შენობასთან, მიმდებარედ არსებული ლითონის კონსტრუქციების ,, ჩილერების“ პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია კვალიფიციურად, კარგ დონეზე, საქართველოში არსებული სამშენებლო ნორმების დაცვით და ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი,
ინჟინერ–კონსტრუქტორი: გ. სხილაძე